

ფოლკლორული ტექსტები

ხილვა ზოდების წმინდა გიორგის ხატში

ოთხი შვილი მყავს. ერთხელ, პატარები იყვნენ მაშინ, დავაწვინე ეს ბავშვები ჩვეულებრივ დასაძინებლად. არც სიცხე ჰქონდათ, არც არაფერი. მერე, ესე თორმეტი საათი იქნებოდა ღამისა, როცა ცუდათ გახდა ეს ბავშვი. ისე ცუდათ გახდა, როგორც, აი, რა გითხრა, ჩვენებურადა, ჩვენი სიტყვითა, როგორც, აი, ჩვარი. ორი წლისა იყო. ეგრე ცუდათ გამიხდა, ვიძახი რო, რა ვქნა... ველარც ხელში ვიჭერ, ავდექი და საბნინად დავიჭირე ხელშია, საბანში გახვეული. საბანშიაც, აი, როგორც, აი, წყალი არ წავიდეს ჭილობზედა აქეთ-იქით, აეგრე ცურაობდა ხელებში.

მერე დავუძახე მეზობელსა, ახლოს რომელი იყო იმასაცა, დაშორებით იყვნენ სოფელში – იქაც. შესცქერიან ამ ბავშვსა, კაცო. ვინ რას გაუკეთებს, აბა, როცა არც ექიმი იყო, არც წამალი იყო და არც არაფერი და ერთადერთი ეს იყო ჩვენი ისა, რო წინდს ჩავაყრეინებდით, თუ მიზეზი გამოუვიდოდა, ესა გვჯეროდა. აი, ხატის მიზეზით თუ ავად გახდება, ან მკვდრის მიზეზით, წინდის ჩხირზე დაახვევდნენ ფთილებს. რომელი სალოცავის სახელზე დახვეული ფთილაც ძირს წავიდოდა, იმისი მიზეზი იქნებოდა. თუ ზემოთ დადგებოდა, არ იყო მიზეზი. მაშინ ზოდების წმინდა გიორგის სახელზე დახვეული ფთილა წავიდა ძირს. მართლა დასაჯერიც გამოდგა იმ ბავშვზე, როცა ჩავაყრეინე ეს წინდი, მერე კარგად გახდა, ჩვეულებრივ კარგად დაიძინა...

ჰოდა, ზოდების წმინდა გიორგის შევეხვეწეთ: – „ოლონდ კარგათ იყოს ეს ბავშვიო და ბატკანს მოვიყვანთო, მოვნათლავთ და მონათლულს მოგიყვანთ შენს კარზეო...“

მართლა მივიყვანე... მე რო ჩემი გოგო სალოცავში წავიყვანე, ჩემი თვალითა მაქვს ნანახი, ისე ჩემი შვილები... აი, ეხლა მე მიკვირს, რო აესეთი რამე ეხლანდელ ამბავშია არც არავის უთქვია და მე მგონი, არც არის ეგრე ისე ნიშნულად, ისე კარგად ვნახევი: ერთი ის არის, მუხაა თუ რაღაცა ხე არის, როგორც, აი, გველი, კლაკნით წავიდა აემ ხეზე, მაღლა, აი, როგორც შუქი კლაკნით წავიდა, და რო ავიდა მაღ-

ლა, მერე გახდა დიდი, ცხრილისავით. აესე ესეთი, რგვალი რალაცა და აი, გარეშამო როგორც ვარსკვლავები არის არა, ცაზე, აესე შემოეხვია გარეშამო ამას, ამ ცხრილივით რო ავიდა მალლა. მერე იარა, იარა, იარა ამან და მე რო დავინახე, ისე გამიკვირდა რალაცნაირადა, რო უნდა მეთქო, რო, ვაიმე, ეს რა არი! ბებერი ქალი იყო ერთი ჩემ გვერდშია და იწვა, იმან მითხრა: – შვილო, გაჩუმდი, გაჩუმდი, არაფერი არა სთქვა, არაო. გაჩუმდი, ეგ ანგელოზია და მოვა ეგაო, ხუთ საათზე უნდა მოვიდეს დილაზეო, ჰო და აბაო, თუ შენ შეეძლებო და დაუკვირდები მაგასო, ანგელოზია, რო ხუთ საათზე უნდა მოვიდეს ეგ ისევე ისეო!

ენლა კი ძან დავინტერესდი, ერთი სიტყვით, რა ამ ამბავზედა და არ დამიძინია. ისეთი ცივი არის ხოლმე იმ დროსა, ყინვა არის და უკვე თოვლიც არის, არც შემცივნია, არც არაფერი აიმ ლოდნაში. ველოდე, ის ხუთი საათი როდის გახდებოდა, როდის მოვიდოდა. ტყუილს არ ვამბობ, ჩემი თვალებითა მაქვს დანახული, მოლანდება იყო, რა იყო, აემის მნახველი ვარ: რა ადგილასაც ავიდა ცაში, ისევე იმ ადგილას, იქიდან ისევე ისე შეიკრა ესა, წამოვიდა... რო ჩამოვიდა, აიმ ხეზე ისევე ისე ჩამოვიდა, როგორც ასვლისას ავიდა გველივით კლაკნილი. აი, მაგის მნახველი ვარ, ჩემს ბავშვებს გეფიცები და მჯერა იქიდანა, რო იქ, ზოდენში, სალოცავი არსებობს, ზოდენის წმინდა გიორგი. აი მაგის მნახველი ვარ და მე არ ვიცი, აი, არ გამოვა ჩემი მესხიერებიდან ეგა...

მთხრობელი: ჟენია პავლიაშვილი-თამარაშვილისა 68 წლის. დაბადებული ახალგორის რაიონის სოფელ პავლიანში (ქარჩოხი), გათხოვილი სოფელ თოხთაში ლენტო თამარაშვილზე. ცხოვრობს თოხთაში.

მაგნიტოფონზე ჩაიწერეს ზურაბ კიკნაძემ და ხვთისო მამისიმედიშვილმა 2008 წლის 22 ივლისს. სოფ თოხთა.

თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის სამეცნიერო ექსპედიციის (2008 წლის 10-23 ივლისი) მასალებიდან

ხიტალიონის ნაამბობი

გიორგი ბიძურას ძე არაბული, მამიშვილობით გელმოკლიანი, ხიტალიონი, 84 წლისა, მოვინახულე გიორგი ჯაფარიძესთან ერთად სოფ. ლელოვანში, 1981 წლის თებერვალში...

გავედით ფეხით თიანეთიდან ხუთიოდე კილომეტრზე. მიგვასწავლეს სახლი. შევედით ეზოში, ავედით მეორე სართულის აივანზე, სადაც ხიტალიონი იჯდა სრულიად მარტო და სიმინდს არჩევდა.

(გვეჩვენებოდა, თითქოს, ხიტალიონი „კ“-ს ნაცვლად „ტ“-ს, „გ“-ს ნაცვლად „დ“-ს და „ყ“-ს შესუსტებულად გამოთქვამდა).

ხიტალე, საიდანაც არის წარმოშობით გიორგი არაბული, ე.წ. გორშელმის ხევსურეთში მდებარეობდა სოფლების – ჩხუბას, ბაცალიგოს, ატაბეს, აყნელის... წრეში. კარგა ხანია, რაც ის დაცლილია, მხოლოდღა ნანგრევები ჩანს ჩხუბადან და იმათაც დროჟამი გააცამტვერებს. აეროფოტო თულა აღნიშნავს მის არემარეში ადამიანის შრომის ნაკვალევს.

პასუხად, როდის გადმოსახლდით ხიტალედან-მეთქი, მომიგო: „ძნელი მისასვლელია ჩვენი ხიტალეო“.

ხიტალიონები არანისშიც¹ არიან. ზენამხარში² რომ ვიყავი, „ხიტალიონს მეძახდნენ, არ იცოდნენ სახელ რა მერქვივნა“.

მამაჩემი იყო ხევისბერი. შენ დაგიწყებს ღონებასო, გიორგიო. ენა დამისივდა, ვერ ვჭამდი. დანა დავისვი ენაზე. მკითხავმა მითხრა: ჩვენგან არაფერი არ გეშველება. წადი შენს ხატში, იარალი აიყარე, ქული მოიხადე, შეეხვეწე – „შენს ხელში ვარ.“ სხვა საშველი არ არის. იმას დაემორჩილე.

მე ვეხვეწები ხატს: თუ ჩემი ხუცობა გინდა, მასწავლე, შენი ენა ჩამიდე. ასე გავაკეთე და ენაც დამიცხრა.

ჯერ დავმარხულდი, ვიწმინდე, არაყს არ დავლევდი...

მერე მივედი საკლავით. რომენ ხატში? პეტრეს ხატში, პეტრე მოციქულობით ვლოცულობთ.

საიდან მოვიდა? – ერთი ოქროს თასი გვექონდა, პირით შასმა არ შაიძლებოდა, ვავსებდით, სანთელ დავაკრავდით და იქიდან სხვაში გადავიღებდით. წარწერას ვერვინ კითხულობდა. ბლალოჩინს უთქვია, საიდანაც მოვიდა. ზედ წერებულა: პეტრე მოციქულისთვის შემიწირავსო. საფრანგეთის წარწერაა, თასიც იქაურია. ანდრეზი კი არ გვექონდა, როგორ, საიდან გაჩნდა, ვინ მოიტანა. მარტო ჩვენთან იყო პეტრე მოციქული.

1 არანისი სოფელია ჟინვალის მახლობლად.

2 ზენამხარი ზემო თიანეთშია.

არხოტში და ჩვენთან პეტრე მოციქული.

გარყვნილმა³ ბიჭმა ხატის მამულებს შემოუარა ქადაგობით. სა-
იდან იცოდა საზღვრები? ასე დაარსდა პეტრე ხიტალეში. ხიტალეში
დასწვია პეტრეს ყველაფერი და ქისტეთში წასულა, მაგრამ არხოტის
ჯვარმა უკან მოაბრუნა.

აქ, ლელოვანში, თუ გაქვთ პეტრეს ნიში? არა, ქადაგს არ უთქვამ
ნიში წაიტანო. აქ არა მაქვს ნიში. ჩვენი ჯვარი ისე ძლიერია, რომ თუ
თითონ არა ბრძანა, მის ნიშს ვერავინ წაიტანს.

პეტრეს ხატს ჰყავს:

1. მაგანძური (მუდმივი), 2. მეზარე (მუდმივი), 3. დასტური ორი
(თითო წლით), 4. მედროშე (მუდმივი).

ესენი რომ დაიხოცნეს, ყველაფერი ხუცესის ხელში დარჩეს. ბრძა-
ნება აღარ იყო, რომ კვლავ დაყენებულიყვნენ.

პეტრე მოციქულის დღეობები:

1. შობა, 2. ახალი წელი, 3. აღდგომა, 4. ამაღლება, 5. ათენგენობა
(მკათათვის 15-ში).

მანამდე შამეძლო, ზენამხარში ვხარშავდი ლუდს და მიმქონდა ხი-
ტალეში.

წმიდობა:

ხუცესი თვიურიან ქალს უნდა ერიდოს. თავის სამყოფში სამ დღეს
უნდა იყოს, სამ დღეს საჭმელს აწვდიან, მემრე წავიდოდი ხატში.

მეპურწყელე⁴ მიკეთებდა საჭმელს, სუფთა კაცი უნდა ყოფილიყო.
ჩემს სახლს ერიდებიან, უწმიდური არ შამოვა, თეგერენაებშიც იციან.

ხატისათვის შესახელებული ხარი ბუბუნს იწყებდა და, თუ ავად
არ ვიყავით, ვილაც უნდა გამხდარიყო ავად. თუ ავად ვიყავი, დაბუ-
ბუნდებოდა და მოვრჩებოდი. რომ კლავდნენ, ერთი მალლა აიხედა,
დაწვა და ფეხი არ გაუნძრევია, როცა ყელს ვჭრიდი.

[თას-განძი]

დაკარგულა სამი თასი, ძალიან უძევიათ. ესენი ქადაგის პირის
ხატს უბრძანებია: მე ვარ თვითონ ჩემი თავის პატრონიო, მე თვითონ
მოვიმწყვდევე ჩემს მოღალატესო. მამაჩემს მაინც უძევია. მკითხავს
უთქვამს, ქალაქშიაო. ცალთვალა ოქრომჭედელს დაუდევნია. აყნე-
ლელი კაცი ყოფილა, ქურდი, იმას მიუტანია ამ ოქრომჭედლისთვის.
გადადნობისას თვალი დაზიანებია.

3 ჯვარ-ხატებში გარეულზე იტყვიან (იხ. ალ. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკო-
ნი: გა-ხ-რყვნი-ს).

4 მეპურწყელეს, პურზე და წყალზე მყოფ, საგანგებოდ მარხულ კაცზე იტყვიან
(ზ.კ.). ამის საპირისპიროა მეპურყველე ან მეპურსატნე.

(ახლა) იმდენ ჭიქას დავდგამ, რამდენი თასიც მქონდა იქ და ასე ვატარებ (ვასრულებ, ზ.კ.), როცა იქ ველარ მივდივარ. განსაკუთრებული ჭიქები მაქვს.

[სახუცო თასი]

მაგანძური დგამდა, მიაწოდებდა ხუცესს, სხვა ვერ დალევდა ხუცესის გარდა. მეორე თასით დასტური, მაგანძური და სხვ. დედაკაცთან ნამყოფი ვერ დალევდა.

[დროშა]

ერთმა მედროშაეს დროშა თავის სახლთან დააყუდა და თავის დიაცთან მივიდა. დაიხელთა. საგიჟეთში მოხვდა.

[დევებთან ლაპარაკი სიზმარში]:

ზეით ერთი ნაგლეჯია (ხიტალეში ხდება ამბავი, ზ.კ.) *ÃaÃისა⁵*. ნამზღვევის თავზე ვზივარ და ჩავხედავ თავის სახლს. დიდი კლდეებია. იქიდან ვხედავ და გოშია გამოვიდა, შავბალნიანი, ხარისოდენი, ამიარა, დგნალთან დაიწყო ჩვენს სახლისკენ ყურებ-გამახედვა. „შენ აშინებ ჩემ დედას და ცოლს-მეთქი.“ ახლოს მოვიდა. დავიჭირე თოფი და გაგორდა ეს გოშიაც და ჩავარდა წყალში. როგორც ელექტრონი გამოვიდა კლდიდან. გოშიას ნავალი, როგორც თოვლი, დააჩნდა მიწას, მის ნავალს. წამოვიდა აქეთ ეს შუქი... მიანათა გოშილას. ისევ უკან და მომანათა ზედ მე ამ შუქმა. ეს შუქი მონათებული მაქ მე და... სინათლე გამოვიდა კლდეშით და უზარმაზარი კაცი გამოვიდა, ახლა მეორე, მესამე. სამნი ასე დადგნენ შორიშორად და წამოვიდეს გოშილას კვალს. ჩაიარეს, თან ჩაიყოლეს შუქ, გოშილა მკვდარ ნახეს. როგორ მოკვდა? რაც იყოს, იყოს, დავხოცავ სამივეს. დევებია. მოვიდა ერთი და დადგა ჩემსკენ. რატომ მოჰკვალ? ცოლ-შვილს მიწიოკებდა. არ ასვენებდა ჩემს ცოლს და დედას. ცოლ-შვილის მწიოკი იყო. მეორემ თქვა: იმასაც დანაშაული ჰქონია, დგნალს რატომ უვლიდაო. რა გიყოთო? ეს ადგილი ჩვენს მამათ და პაპათ გვიჭერიანო. კარგი, მე ვუთხარი, კარგი. ერთს წელს იქნება არ ვიყო სახლში, მომეცი ნება, ვიცხოვრო, ნუ შეაშინებ ნურავის. ერთი წლის შემდეგ დაგიტოვებ თქვენს ადგილს. კარგი სიტყვააო. სამ წელს მოგცემთ პირობას, არავის შევაშინებთ. დავთანხმდი. სამი წელი არ მინდა-მეთქი. ჩვენ სამ წელს გეუბნებითო, თუ რამე წაგიხდა, სხვაგანაც დაგეხმარებითო. დავემშვიდობებთ ამ პირობით.

5 „ნამეწყრალი, ან ნათხარი ადგილი, ნამზღვევი“ (ალ. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი, 2005).

გამომღვიდა ოფლიანს. მეორე წელს ავიყარე და დავტოვე ის სახლი. ქვემოთ, ქალაში ვცხოვრობდი. იქ მქონდა აშენებული სახლი კახეთიდან დაბრუნებისას. მერე ზენამხარში წავედი, იქაც შემამიჩინდა...

ზურაბ კიკნაძე

მაქართის ადგილის დედა და ირემი

მაქართას, ადგილის დედის სალოცავთან, გამოდის მუჯვე წყალი, ვედა. ამ ვედასთან თურმე დღესასწაულზე თეთრი ირემი მოდიოდა. ყოველ წელს, დღესასწაულზე, ის ჯერ წყალს დაღვედა და დაისვენებდა, მერე კი საკუთარი ნებით ეწირებოდა ადგილის დედას.

ერთხელაც თეთრი ირემი დღესასწაულზე დაგვიანებით ამოსულა. მზის ჩასვლის შემდეგ პირუტყვის დაკვლა აღარ შეიძლებოდა, ამიტომ ირემს აღარ დააცადეს დასვენება და დაკლეს. ამის შემდეგ დღესასწაულზე ირემი აღარ გამოჩენილა. წყაროსთან მდგარ მუხას კი მაღევ მეზი დასცემია და ორად გახლეჩილა.

დაკლული ირმის რქები ერთ მაქართელ კაცს სახლში წაუღია. ერთ ღამეს ის დაკლული ირემი გამოცხადებია და უთქვამს: რქები ხატში დააბრუნე, თუ არა და ქალ-ქალის შვილზე გაგლევეთო. ეს გვარი მართლაც ამოწყვეტილა. წყევლა ამ ოჯახის ნაშვილებ პირქუშანის ობოლ ბავშვზეც კი გადასულა.

მთხრობელი: ლალი წიკლაური ვალიკოს ასული, დაბად. სოფ. მაქართაში.

ჩამწერი: ნინო აფციაური. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი. 2012 წლის 3 აგვისტო. ს. მაქართა.

რედაქტორის შენიშვნა: ნებაყოფლობით მსხვერპლად სალოცავში მოსული ან წმ. გიორგის გამოგზავნილი ირმის (ან ხარის) ანდრები მთელ საქართველოშია გავრცელებული. დადასტურებულია იგი იმერეთში (ხვალასკური, ხანი), ქართლში (მეჯვრისხევი), სამეგრელოში (ილორი), აფხაზეთში (ოქუმი), სვანეთში (უყულდაში). გუდამაყარში აქამდე არ ყოფილა მიკვლეული. ლიტერატურისთვის იხ. ჯ. რუხაძე. ხანი იმერეთის ხევსურეთია, 1989; ზ. კიკნაძე. „ხანში ირემი მოდივა.“ კრებულში: *ოჩხარი*. ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოსოფიური ძიებანი, თბილისი, 2002.

ხურიტული იგავები

ხურიტულ-ხეთური ბილინგვა „ეპოსი/სიმღერა (მონათა) განთავისუფლებისა“, ხურიტულად kirenzi, ხეთურად para tarnumar (KBo XXXII) აღმოჩენილია 1983-85 წწ., ბოლაზ-ქოიში (ძველი ხათუსა, ხეთების დედაქალაქი) წარმოებული გათხრებისას. ტექსტი ორ სვეტადაა წარმოდგენილი: მარცხენა სვეტი ხურიტულია, მარჯვენა – მისი შესატყვისი ხეთური თარგმანი. ხურიტული დედანი უნდა შექმნილიყო ჩრდილოეთ სირიაში ძველბაბილონური ხანის ქალაქ-სახელმწიფოს ებლას დანგრევის შემდეგ ძვ. წ. მე-17 ს-ზე ადრე. მოგვიანებით, ხეთების მიერ იქ წარმოებული დაპყრობითი ომების დროს ჩამოიტანეს ხათუსაში, სადაც ითარგმნა ხეთურად. ჩვენამდე მოღწეული ბილინგვა შედგენილი უნდა იყოს დაახლოებით ძვ. წ. 1400 წელს.

ეს უნიკალური ტექსტი სენსაციურ, საუკუნის აღმოჩენად მიიჩნის მეცნიერებმა. მისით მრავალი მკვლევარი დაინტერესდა, გამოქვეყნდა სტატიები, რომლებშიც განიხილება ხურიტული ლექსიკის და გრამატიკის ცალკეული საკითხები. ამჟამად მიმდინარეობს ძველის ინტენსიური კვლევა.

KBo XXXII 12 და KBo XXXII 14 ფირფიტების ტექსტი წარმოადგენს იგავებს (7 იგავი). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს იგავები ერთ-ერთი უძველესია წერილობით ძეგლებში დადასტურებულ იგავ-არაკებს შორის. KBo XXXII 12 ფრაგმენტულია და მისი გაბმული თარგმნა ჭირს. KBo XXXII 14 მოიცავს 125 სტრიქონს. ტექსტი კარგადაა შემონახული და ადვილად ითარგმნება. იგავებში მოქმედი პირები არიან ცხოველები, ნივთები, ადამიანები. თხრობა იწყება არაკით. ყოველი არაკის ბოლოს მოცემულია განმარტება – იგავის მორალი: „ეს არ არის შველი, ძალღი, თასი და ა. შ. ეს არის ადამიანი.“ შემდეგ ავტორი მიმართავს მსმენელებს: „გვერდზე გადავდოთ ეს მოთხრობა, მე თქვენ სხვას მოგიყვებით...“ ამის შემდეგ იწყება მომდევნო არაკი.

ხურიტულ იგავებზე ადრინდელია შუმერულ-ბაბილონური იგავები და იგავის ტიპის გაბაასებანი (იხ. *Babylonian Wisdom Literature*, by W.G. Lambert, Oxford, 1960), მათ შორის, იგავი არწივზე და გველზე, რომლის სიუჟეტი ეთანას მითოსშია ინკორპორირებული (იხ. ძველი შუამდინარული პოეზია, თბ., „მემკვიდრეობა“, 2009). მაგრამ რაც განასხვავებს ხურიტულ იგავებს შუმერულ-ბაბილონური იგავებისგან, ეს არის ალეგორიის გაშიფრვა მორალური დასკვნითურთ, რომელიც ახლავს ხურიტულ იგავებს, და ამ მხრივ ისინი ტიპოლოგიურად ებოპეს იგავებს ენათესავება.

ამ შვიდი იგავიდან შემდეგი მორალურ-ეთიკური მაქსიმები დგინდება:

ნუ უგულვებელყოფ შენს სამშობლოს! (პირველი იგავი).

დასჯერდი იმას, რაც კანონით გეკუთვნის და სხვის ქონებაზე ნუ გიჭირავს თვალი! (მეორე იგავი).

იყავი მადლიერი მამაშენისა და პატივი ეცი მას! (მესამე და მეექვსე იგავები). მსგავს კონტექსტში (KBo XXXII 12 IV 16-20) მოხსენებულია „დედა“.

ალასრულე შენი ვალი იმ საქმეში, რომელსაც ადგახარ! (მეოთხე და მეხუთე იგავები).

იყავი მადლიერი შენი ოსტატისა და პატივი ეცი მას! (მეშვიდე იგავი)

I. შველისა და მთის იგავი

ერთი შველი მთამ თავისი ფერდობიდან გააძევა. შველმა სხვა მთას მიაშურა. ჩხუბი უნდოდა და დაუწყო პირველ მთას წყევლა: „დაე, ცეცხლმა გადაწვას მისი საძოვრები, თეშუმმა¹ გააცამტვეროს იგი, ცეცხლმა მთლიანად გადაბუგოს!“ მთამ ეს რომ გაიგონა, გული ეტკინა. თავისი მხრიდან მანაც დასწყევლა შველი: „რატომ მწყევლის მე ჩემგან გასუქებული შველი? დაე, მონადირეებმა მოკლან და მეჩიტბადეებმა დაიჭირონ იგი! დაე, მისი ხორცი მონადირეებმა წაიღონ, ხოლო მისი ტყავი კი მეჩიტბადეებმა!“

ეს შველი არ არის, ეს ადამიანია. ეს ის კაცია, რომელიც თავისი ქალაქიდან წავიდა და სხვა ქვეყანა მოძებნა. ჩხუბი მოუნდა და თავისი ქალაქის ლანძღვა დაიწყო. მისი პირველი ქალაქის ღმერთებმა დასწყევლეს იგი სამუდამოდ.

გვერდზე გადავდოთ ეს მოთხრობა, მე თქვენ სხვას მოგიყვებით. მოისმინეთ ამბავი! ჭკუისსასწავლებელ მაგალითს გიამბობთ:

II. შველისა და საძოვრის იგავი

ერთი შველი მდინარის აქეთა ნაპირის საძოვარზე ბალახობდა, მაგრამ გაღმა მხარის საძოვარს დაჟინებით მისჩერებოდა. გამოღმა საძოვარს უკვე აღარ ფლობდა, გაღმა მხარის საძოვარს კი ვერ მისწვდა.

ეს არ არის შველი, ეს ადამიანია, რომელიც თავისმა ბატონმა ოლქის მმართველად დანიშნა. მას კი გამუდმებით სხვა ოლქისკენ ეჭირა

1

თვალი. თავის ოლქს აღარ ფლობდა, მეორე კი თვალით ვერ იხილა. ღმერთები ადამიანებს კეთილგონიერებისაკენ მოუწოდებენ.

გვერდზე გადავდოთ ეს მოთხრობა, მე თქვენ სხვას მოგიყვებით. მოისმინეთ ამბავი! ჭკუისსასწავლებელ მაგალითს გიამბობთ:

III. მჭედლის იგავი

ერთმა სპილენძზე მომუშავე მჭედელმა ფიალა ჩამოასხა თავის სასახელოდ. გამოჭედა და მისცა შესაბამისი ფორმა. ბრჭყვიალა ინკრუსტაციებით დაფარა, ჩუქურთმები ამოტვიფრა და ბრწყინვალეობა შემატა. მაგრამ უგუნურმა სპილენძმა დასწყევლა ის, ვინც იგი გამოჭედა: „აგრემც ხელი მოსტყდება ჩემს გამომჭედელს, მარჯვენა ხელის მყესებშიც გადაენასკვება!“ ეს რომ მჭედელმა გაიგონა, გული ეტკინა. თავის თავს ეუბნებოდა: „რატომ მწყევლის ჩემგან გამოჭედილი სპილენძი?“ თავის მხრივ მჭედელმაც დასწყევლა თასი: „დაე, თეშუბმა დაასმხვრიოს თასი, ბრჭყვიალა სამკაულები დააგლიჯოს! დაე, თასი არხში ჩავარდეს, მზინვარე სამკაულები კი მდინარეში!“

ეს თასი არ არის, ეს ადამიანია.² ეს ვაჟიშვილი თავისი მამის მტერია. გაიზარდა, მოიპოვა სახელი, თავის მამას კი ზედაც აღარ უყურებდა. მამამისის ღმერთებმა იგი სამარადისოდ დასწყევლეს, შეაჩვენეს.

გვერდზე გადავდოთ ეს მოთხრობა. მე თქვენ სხვას გიამბობთ. მოისმინეთ ამბავი! ჭკუისსასწავლებელ მაგალითს გიამბობთ:

IV. ძალის იგავი

ერთმა ძალმა ნამცხვარი გაიტაცა ღუმელიდან. გაიტაცა ღუმელიდან, ცხიმში ამოაწო იგი. ამოაწო ცხიმში, დაჯდა და ჭამა დაიწყო.

ეს ძალლი არ არის. ეს ადამიანია, რომელიც თავისმა ბატონმა მმართველად დანიშნა. მან თავის ქალაქში გადასახადები გაზარდა. ჩხუბს ეძებდა. თავის ქალაქზე სულ აღარ ზრუნავდა. იგი დააბეღლეს ბატონთან. თაღლითობით შეძენილი ქონება თავის ბატონს უკან დაუბრუნა.

გვერდზე გადავდოთ ეს მოთხრობა. მე თქვენ სხვას მოგიყვებით. მოისმინეთ ამბავი! ჭკუისსასწავლებელ მაგალითს გიამბობთ:

2 თასის იგავური გაიგივება ადამიანთან დადასტურებულია ინდურ ტრადიციაში, სადაც პატრა „ჭურჭელი“ უმწიკვლო ადამიანს, ხოლო აპატრა „არაჭურჭელი“ (გაბინძურებული ჭურჭელი) ცოდვილის ადამიანის სიმბოლოა.

V. გატაცებული კოკრის იგავი

ერთმა კამ(მ)ი³ კოკორი⁴ გაიტაცა ლუმელიდან. გაიტაცა იგი ლუმელიდან. ცხიმში ამოაწო იგი. ამოაწო იგი ცხიმში. დაჯდა და ჭამა დაიწყო.

ეს კამი არ არის. ეს ადამიანია, რომელიც თავისმა ბატონმა ქალაქის თავად დანიშნა. მან გაზარდა გადასახადები თავის ქალაქში. ჩხუბს ეძებდა და თავის ქალაქს ზედაც აღარ უყურებდა. ვილაცამ და აბეზლა იგი თავის ბატონთან. თაღლითობით შეძენილი ქონება თავის ბატონს უკან დაუბრუნა.

გვერდზე გადავდეთ ეს მოთხრობა. მე თქვენ სხვას მოგიყვებით. მოისმინეთ ამბავი! ჭკუისსასწავლებელ მაგალითს გიამბობთ:

VI. გოდლის იგავი

ერთმა ხუროთმოძღვარმა თავის სასახელოდ გოდოლი ააგო. საძირკველი ქვემოთ ალანიმდე⁵ ჩაიყვანა. ქონგური ზემოთ ზეცას დაუახლოვა. მაგრამ სულელმა ნაგებობამ დასწყევლა ის, ვინც იგი ააშენა: „ნეტამც ხელი მოსტყდებოდეს ჩემს ამშენებელს, ხოლო მარჯვენა ხელის მყესები გადაენასკვებოდეს!“ ეს რომ ხუროთმოძღვარმა გაიგონა, გული ეტკინა. ხუროთმოძღვარი თავის თავს ეუბნებოდა „რატომ მწყევლის მე ჩემი აშენებული ნაგებობა?“ დასწყევლა ხუროთმოძღვარმა კოშკი: „დაე, თეშუბმა დაამსხვრიოს გოდოლი! დაე, სახურავი არხში ჩავარდეს, კრამიტი კი მდინარეში!“

ეს გოდოლი არ არის. ეს ადამიანია. ეს ვაჟიშვილი თავისი მამის მტერია. ის გაიზარდა, სახელი მოიპოვა, მამას კი ზედაც აღარ უყურებდა. თავისი მამის ღმერთებმა იგი სამუდამოდ დასწყევლეს.

გვერდზე გადავდეთ ეს მოთხრობა. მე თქვენ სხვას მოგიყვებით. მოისმინეთ ამბავი! ჭკუის სასწავლებელ მაგალითს გიამბობთ:

VII. შეშის დამწყობის იგავი

შეშა დახერხეს, დააპეს. სახედარმა გადაზიდა. შეშის დამწყობმა არხთან შეშა თაკარად დააწყო. საძირკველი ქვემოთ ქვესკნელამდე აღწევდა, ზემო ნაწილი კი ზემოთ ზეცას მისწვდა. უგუნურმა შეშამ

3 Kam(m)i – ჯერჯერობით რომელიღაც დაუდგენელი ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვა.

4 დედანში: kakkari – პურის სახეობა: „მრგვალი პური“. ზედმიწევნით, როგორც ფონეტიკურად, ისე სემანტიკურად თანხვდება ქართულ სიტყვას.

5 ალანი (Allani) – ქვესკნელის ქალღმერთი ხურიტულ პანთეონში.

დასწყევლა ის, ვინც თაკარა ააგო: „აგრემც გაუხმება ხელი ჩემს დამწყობს, მარჯვენა ხელის მყესიმც გადაენასკვება!“ როდესაც შეშის დამწყობმა ეს გაიგონა, გული ეტკინა. თავის თავს ეუბნებოდა: „რატომ მწყევლის ჩემი დაწყობილი შეშა?“ თავის მხრივ მანაც დასწყევლა შეშა: „დაე, თეშუბმა გაანადგუროს შეშა! დაე, ფუნდამენტი არხში ჩავარდეს, მასზე ამოსული ხავსი კი მდინარეში!“

ეს არ არის შეშა. ეს ადამიანია. ეს შეგირდია. გაიზარდა, მოიპოვა სახელი. თავის ოსტატს დაუპირისპირდა. წილი ედო ოსტატის სიკვდილში კალოზე. ღმერთმა დასაჯა დამნაშავე შეგირდი. მან ძალღური ცხოვრებით იცხოვრა და ბოლოს ძალღვით მოკვდა თავისი ბატონის სკამის ქვეშ.

ხურიტულიდან თარგმნა ნანა ნოზაძემ

PUBLICATIONS

Winfried Boeder

The Hunter Who Perished. Problems of Narrative Structure in Svan Poetry

(First published in French in 1992)

The specific narrative use of 1st and 2nd person protagonist reference in Svan ballads is shown to be based on the non-communicational properties of grammatical person. Since the 1st and 2nd person forms do not refer to the speaker and the audience, respectively, features like accessibility, empathy and contact become essential in the narrative sections of these poems. This usage has parallels in Ancient Near Eastern and Greek poetic traditions.

Folklore

A Vision in Saint George's Sanctuary of Zodekhi

The story relates about Saint George of Zodekhi's miraculous healing of an ailing child. The saint is described to appear in the shape of a serpent above an oak tree standing by a sanctuary in the village of Zodekhi, the Tskhradzma (*Nine Brothers*) gorge, Akhagori municipality.

Recorded by *Zurab Kiknadze* and *Khvtiso Mamisimedishvili*

A story narrated by a *khutsesi* (priest) from Khitale

A Khevsurian priest (a sanctuary official), Giorgi Arabuli, relates about his village Khitale and its shrines, of which only ruins survive. The priest is visited by evil giants (*the devis*) in his dream. The giants force him to leave the village. Others follow him and the village becomes desolate.

Recorded by *Zurab Kiknadze*

The Genius Loci of Makarta and the White Deer

A tradition surviving in the Gudamakari community relates about a white deer who used to come to the celebration of the genius loci of Makarta every year. The deer would drink some water, have a rest and offer itself as a sacrifice to the genius loci. A myth about a deer (or an ox) sent by Saint George as a voluntary offering is attested in many regions of Georgia.

Recorded by *Zurab Kiknadze*

Seven Hurrian Parables

The paper is the translation of seven Hurrian parables from the original texts tentatively dated to a period no later than the 17th century BC. The Hurrian parables are among the first surviving evidence of the genre, after the Sumerian-Babylonian parables. Like Aesop's fables, each of them ends in a morale.

Translated by *Nana Nozadze*